

წყალდიდობების და წყალმოვარდნების ტენდენციები საქართველოსა და მსოფლიოში

გიორგი ბრეგვაძე, ვაჟა ტრაპაიძე

ელ-ფოსტა: giorgi.bregvadze@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

კაცობრიობის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას სტიქიური მოვლენები წარმოადგენს. სტიქიური მოვლენები არის ნებისმიერი კატასტროფული (დამანგრეველი) ბუნებრივი მოვლენა და პროცესი (მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევა, გვალვები, მეწყერები, წყალდიდობები და სხვა), რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანთა მსხვერპლი და ქვეყანას მიაყენოს მატერიალური ზარალი.

მსოფლიოში ჰიდროლოგიური კატასტროფების შემთხვევათა რაოდენობა (38%) მეტია სხვა ბუნებრივ კატასტროფებზე, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ წყალდიდობებს, მსოფლიოში სხვა კატასტროფებს შორის შემთხვევათა რაოდენობის მიხედვით 33.3%-ს აღწევს, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია.

ადამიანთა ბუნებრივი სურვილია საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ამისათვის ხშირად იღებენ სარისკო გადაწყვეტილებებს. კერძოდ, საცხოვრებელ სახლებსა და ტექნიკურ ნაგებობებს აშენებენ მდინარეების, ტბებისა და ზღვის სანაპირო ტერიტორიებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიებზე გაზრდილია ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების საშიშროება, მათ შორის წყალდიდობების.

სანაპირო რაიონების სამეურნეო ათვისება, მდინარეთა მაღალი წყლიანობის პეროდში, მნიშვნელოვნად ზრდის დატბორვისა და მორალური და მატერიალური ზიანის რისკს. წყალდიდობისაგან გამოწვეული ზიანის მოცულობა დამოკიდებულია მთელ რიგ მიზეზებზე, როგორცაა წყლის საშიში დონის სიმაღლე და ხანგრძლივობა, დატბორილი ტერიტორიის ფართობი და წლის დრო, როდესაც ხდება წყალდიდობა.

ნაშრომში წარმოდგენილია წყალდიდობების კლასიფიკაცია, მათი წარმოქმნის მექანიზმები, პირობები და ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ წყალდიდობის სივრცულ მასშტაბს, ინტენსივობასა და ხანგრძლივობას. ამ ფაქტორების კლიმატური ცვლილება - დაკვირვებული და მოსალოდნელი მომავალში - იწვევს და გამოიწვევს სათანადო ცვლილებებს წყალდიდობის ხასიათში, რომელიც შეიძლება შეფასდეს რაოდენობრივი თვალსაზრისით.